

ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ მ ე ც ნ ი ე რ ი ბ ა თ ა ა კ ა დ ე მ ი ა
უსტაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

ღიგეკავუჩუღი ძიებანი



ა მ თ ნ ა ბ ე კ ღ ი

დ. მელიქსეთ-ბეგი

ნ. ბაკათაშვილი და სომხური ლიტერატურა

ლეონ ნელიძემთ-ბაგი

ნ. ბარათაშვილი და სომხური ლიტერატურა*

ჩვენი ჟემა „ნ. ბარათაშვილი და სომხური ლიტერატურა“ მიზნად ისახავს განიხილოს ციკლი საკითხებისა ნ. ბარათაშვილის შესახებ ვნაკვეთად, შემდეგი თანამიმდევრობით: 1. ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შემხვედრი მომენტები იმდროინდელს (XIX ს. პირველი ნახევრისა და შუა წლების) სომხურ ლიტერატურაში; 2. ნ. ბარათაშვილის უშუალო ზეგავლენა XIX—XX სს. სომეხ მწერლებზე; და 3. ნ. ბარათაშვილის თხზულებანი სომხურს თარგმანებში (თემატიკური ბიბლიოგრაფია).

I

XIX საუკუნის დამდეგიდანვე ქართველთა და სომეხთა კულტურულ ზრდა პოლიტიკურ-ეკონომიურ ვითარების ისეთ კალაპოტში ჩადგა, რომ ორივე მეზობელი და მოძმე ხალხის კულტურულ ცენტრად თბილისი იქცა (ყერძოდ სომეხთათვის მოსკოვიც). თბილისი შეიქნა აღმოსავლური ახალი სომხური ლიტერატურის განვითარების მთავარ კერად და ასეთ კერად იგი დარჩა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე.

ქართველთა და სომეხთა ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეს აქ, თბილისში, ემსახურებოდა, ერთი მხრით, ე. წ. „კეთილშობილთა სასწავლებელი“— 1804 წლიდან, მეორე მხრით კი სასულიერო სემინარიები: მართლმადიდებელთა—1817 წლიდან, და სომეხთა—1824 წლიდან, რომელთაგან პირველში ე. ი. „კეთილშობილთა სასწავლებელში“, გაიფურჩქნა ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლის და აქტიური რომანტიზმის შესევეურის ნიკოლოზ ბარათაშვილის ნიჭი, ხოლო სომეხთა სემინარიაში აღიზარდა აღმოსავლური ახალი სომხური ლიტერატურის ფუძემდებელი და აქტიური რომანტიზმის ბურჯი ხაჩატურ აბოვიანი ამხანაგებითურთ. ამავე სომეხთა სემინარიაში 1838—1842 წწ.

* წაკითხულია მოხსენებაჲ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიებზე 1945 წ. 27 ოქტომბერს.

მოღვაწეობდა პლატონ იოსელიანი, როგორც ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელი, რომელმაც იქვე თვითონ შეისწავლა სომხური ენა.¹

XIX საუკუნის პირველ ნახევრიდანვე ქართულისა და აღმოსავლური ახალი სომხური ლიტერატურის მესვეურები შესამჩნევად განიცდიან რუსულია და დასავლეთ-ევროპულ ლიტერატურათა ზეგავლენას, რომლებმაც განსაზღვრეს ორივე მოძვე ლიტერატურის შემდგომი განვითარებისა და მსვლელობის გზები. კერძოდ ამ საქმიანობაში სომხურის მიმართ დიდი როლი შეასრულეს ე. წ. „დორაკტელეზა“—ხ. აბოვიანიდან მოყოლებული, რომლებიც შემდეგ დროინდელ ქართველ „თერგდალეულთა“ ლეიძლ ძმებად გვევლინებიან.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ორივე ლიტერატურის მესვეურთ თბილისში უღძვობდათ ცხოვრება და მუშაობა, მათი საქმიანობა ერთმანეთისგან, რუსეთის თვითმპყრობელობის პირობებში, ჩინური კედლით იყო გათიშული, იმდენადა, რომ ისინი ერთმანეთს პირადად არც კი იცნობდნენ. ასე იყვნენ, ზეგალითად, ნ. ბარათაშვილი (1817—1845) და ხ. აბოვიანი (1843 [თბილისში 1824—1826 და 1837—1844]) XIX საუკუნის პირველ ნახევარში² და ი. გოგებაშვილი (1840—1912) და დ. აღიანი (1840—1911)³, აგრეთვე ივ. მაჩაბელი (1854—1896) და გ. ბარხუდარიანი (1836—1913) —მეორეში.

XIII საუკუნის თვალსაჩინო სომეხი პოეტი ფრიკი თავის ლექსში „ჩივილი“, უკვირდება რა ადამიანთა უთანასწორობას, რომელიც გამოიხატება ჩამომავლობითის-გვარტომობის, ფიზიკური თვისებებისა და სოციალური მდგომარეობის განსხვავებაში, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ ამ ქვეყნად ერთი წვრილშვილია, მეორე კი უშვილო, ერთი დიდი ქონების პატრონია, მეორე კი სრული უპოვარი და სხვა ასეთი⁴. ფრიკს რომ XIX—XX სს-ში ეცხოვრა ალბათ გაოცლებოდა, რომ ნ. ბარათაშვილს 3 საფლავი ზედა წილად, ხ. აბოვიანს კი არცერთი (ხ. აბოვიანის 1848 წ. უგზო-უყვალოდ დაკარგეაც ხომ ივ. მაჩაბლის ხვედრს მოგვეავონებს). სხვათაგან კი ეს ორი მწერალი ძალიან წააგავს ერთიმეორეს, კერძოდ იმაშიც, რომ ვერც ერთს მათგანს სიცოცხლეში ვერ ელირსა თავისი თხზულება დაბეჭდილი ენახა.

ბიოგრაფიის მომენტებს რომ თავი დაეანებოთ და ორივე მწერლის შენიჭებულებას დაეფიქსირდეთ, შევამჩნევთ თუნდაც ასეთ შეხვედრებს თ ე მ ა ტ ი -
ქ ი ს ს დ ე რ ა შ ი .

¹ შტრ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ეპიზოდი პ. იოსელიანის ცხოვრებიდან: „ლიტერატურული საქართველო“ 1938 წ., № 31.

² შტრ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ხ. აბოვიანი თბილისში და მოთხრობა „თათრის ქალის“ ტომოგრაფია (სომხურად): „გრაკან ჰანდეს“ (თბილისი) 1941 წ. № 1, გვ. 31—40; მისივე, ნაჩატურ აბოვიანი: „ლიტერატურული საქართველო“ 1941 წ., № 18.

³ შტრ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, იაკობ გოგებაშვილი და დახაროს ალაიანი: საიუბილეო კრებული „იაკობ გოგებაშვილი“, თბ. 1940, გვ. 68—70; მისივე, დახ. ალაიანი და იაკ. გოგებაშვილი (სომხურად): „პოეტებმპყრობის სერუნდ“ (თბილისი) 1940 წ. № 9, გვ. 12—13; მისივე, იაკ. გოგებაშვილი და დახაროს ალაიანი (სომხურად): „სოვეტაკან ვრასტან“ (თბილისი) 1940 წ., № 251.

⁴ შტრ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ. 1941, გვ. 147—149.

1. ნ. ბარათაშვილი წერს (1836 წ.) ლექსს „შემოღამება მთაწმიდაზედ“¹. 1840 წ. ხ. აბოვიანი მთაწმიდას უძღვნის 17-სტროფიან ლექსს „მთაწმიდის დღესასწაულის გამო“.

2. 1839 წ. ნ. ბარათაშვილი თხზავს პოემას „ბედი ქართლისა“, სადაც იძლევა საქართველოს ისტორიული ბედის ანალიზს და წარმოსახავს მისი მომავლის პერსპექტივას რუსეთის მფარველობის ქვეშ. 1841 წ. ხ. აბოვიანი ამთავრებს რომანს „სომხეთის წყლული. გოდება პატრიოტისა“, სადაც გვიშლის სომხეთის მომავლის სურათს რუსეთთან შეერთების ასპექტში.

3. 1842 წ. ნ. ბარათაშვილი წერს ლექსს „საფლავი მეფის ირაკლისა“². სადაც დიდი მოწიწებითა და „მუხლთა დრეკით“ იხსენიებს „მცხოვანი გმირისა“ და „ხმოვანი მეფის“ ნამოღვაწარს. ამავე ხანებში ხ. აბოვიანი აფორმებს ნახევრად პროზულსა და ნახევრად ლექსადწყობილ (4-სტროფიან) თხზულებას სათაურით „უკანასკნელი გამოთხოვება ძლევაშისილი მეფის ირაკლისა“³, სადაც, სხვათა შორის, წარმოდგენილია ირაკლი II-ის გმირული სახე 1795 წ. თბილისის დაცვისა და ალა-შაჰმად-ხანის მიერ მოხრების ფონზე.

4. იმავე 1842 წ. ნ. ბარათაშვილი ნუმიზმატუ მის. ბარათაევს უწერს სამსტრიქონიან ლექსს ა ზ ა რ ფ ე უ ა ზ ე დ. ხოლო ა ზ ა რ ფ ე უ ა სატირულ-ჰუმორული პოემის თემად აქვს გამოყენებული ამავე ხანებში ხ. აბოვიანს თბილისის⁴ „ყარაჩხელთა“ ცხოვრებიდან აღებული ერთი ეპიზოდის აღწერაში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ორივე მწერლის შემოქმედება ღრმა პატრიოტიზმითაა გამსჭვალული. ხოლო პატრიოტულ მოტივებს ისინი ზოგჯერ ერთნაირად გამოსთქვამენ.

ლექსში „სული ობოლი“ (1839) ნ. ბარათაშვილი წერს:

ნუ ვინ იტყვიან ობლობისა ვებას,
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას!
საბრალოა მხოლოდ სულით ობოლი.
ძხელდა პოვის, რა დაკარგოს მან ტოლი!

რომანში „სომხეთის წყლული“ (1841) ხ. აბოვიანი წერს:

ვაჲ იმ ერსა, უპატრონოდ რომ არის,
ვაჲ იმ მზარეს, მტრის ხელქვეით რომ არის,
ვაჲ იმ ხალხსაც, თუ თავის თავს, ქვეყანას
ვერ დაიცავს; ჰარამხადებს დაუთმობს.⁵

¹ ქართულად თარგმნილია პოეტ. ს. ავჩიანის მიერ (ჯეოჯეორობით დაუბეჭდავია).

² თარგმანი ჩვენია, ლ. მ.-ბ.

ორივე მწერალი დიდი პუმანისტია, საკაცობრიო იდეების მოტრფიალე და ამავე დროს, მეზობელ ერთა სოლიდარობის ტრუბადურთ და ერთიმეორის გულშემატიკივარი.

ნ. ბარათაშვილის ლირიკის ზოგიერთი შტრიხი პარალელს პოულობს XIX ს. სომხური ლიტერატურის ზოგიერთ სხვა წარმომადგენლის შემოქმედებაშიც, პირველ ყოვლისა რაფაელ პატკანიანისაში (1830—1892). ვგულისხმობთ ნ. ბარათაშვილის ლექსს „ფიქრნი მტკვრის პირას“ (1837) და რ. პატკანიანის „არაქსის ცრემლები“ (1856)¹, რომლებიც იდეურად უკავშირდებიან ერთმანეთს იმდენად, რამდენადაც მდინარეები მტკვარი და არაქსი (არაზი-არეზი) საქართველოსა და სომხეთის სიმბოლოებად არის მიჩნეული ამიერკავკასიის ხალხთა პოეზიაში.

ახლა შევადაროთ ნ. ბარათაშვილისა და რ. პატკანიანის ლექსთა პროლოგები:

ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი თ —

წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად,
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად.

რ. პ ა ტ კ ა ნ ი ა ნ ი თ —

მშობელ არაქსის კიდეთ
უგზო-უყელოდ ვაბიჯებ
და ძველ დროთა ხსოვნათა
ტალღებ შუა დავცემ.

მაგზამ რას მოწმობენ მოყვანილი ფაქტები და შედარებები? იქნებ იმას, რომ ნ. ბარათაშვილს ზეგავლენა მოუხდენია ხ. აბოვიანზე, ან რ. პატკანიანზე? რასაკვირველია, არა! ამასთანავე ხომ დაუშვებელია საკითხის პირუწყუ დასმაც, რამდენადაც ლექსთა შეთხზვის სათანადო თარიღები ასეთ დასკვნას ეწინააღმდეგება.

ამრიგად, ნ. ბარათაშვილისა და სომეხ მწერალთა (ხ. აბოვიანის, რ. პატკანიანის) თემატიკური და იდეური შეხვედრები ურთიერთი ზეგავლენის შედეგი კი არაა, არამედ გამომხატველი იმ გარემოსი, რომელშიც ქართველ და სომეხ მოღვაწეთ უხდებოდათ მუშაობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

ეს ერთი.

მეორე კი ისა, რომ აშკარა ფაქტები და დოკუმენტები ლაღადებენ იმ დებულების სასარგებლოდ, რომ ნ. ბარათაშვილს, ალ. პუშკინთან, მ. ლერმონტოვთან და ზოგიერთ სხვა რუს პოეტთან ერთად, გარკვეული ზეგავლენა მოუხდენიათ აღმოსავლურს ახალ სომხურ პოეზიაზე XIX—XX სს. მიჯნაზე.

¹ შტრ. ქართული თარგმანი ბ. ევანგულოვისა: „ცნობის ფურცელი“ 1903 წ., № 2138 (სურათებიანი დამატება № 114).

II

სომხურ ჟურნალ „ტარაზ“-ში, რომელიც ტიგრან ნაზარიანცის რედაქციით გამოდიოდა თბილისში, 1893 წ. 11 აპრილის №-ში (15) დაიბეჭდა ნ. ბარათაშვილის „მერან“-ის სომხური თარგმანი, შესრულებული ჰოვ. კოსტანიანიანის მიერ.

ამავე ჟურნალის 25 აპრილის №-ში (17) დაიბეჭდა მოკლე ინფორმაცია ნ. ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენების შესახებ, აგრეთვე პოეტის ბიოგრაფია, დაწერილი ჰ. ა. მარტიანიანის მიერ.

ამჟინად, ინტერესი ნ. ბარათაშვილის პიროვნებისა და მისი შემოქმედებისადმი სომეხთა საზოგადოებაში ამ თარიღიდან იწყება.

1893 წ. 25 აპრილი (ძველი სტილით) ისტორიული დღე იყო ქართველთა საზოგადოებისათვის: ამ დღეს განჯიდან თბილისში გადმოსვენეს და დიდუბო პანთეონში დაკრძალეს ნ. ბარათაშვილიც სწავით.

თავის დროს გაზეთი „ივერია“ (1893 წ. № 86) წერდა, რომ ამ დღეს ნ. ბარათაშვილის „საფლავზე სიტყვები და ლექსები წარმოსთქვეს: აკაკი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძემ, ნინო ორბელიანისამ, ქუთაისის ქალაქის მოურავმა ლოლუამ, ქუთაისის დეპუტატმა დ. ბაქრაძემ, გიორგი წერეთელმა, სომეხთა ახალგაზრდა პოეტმა თუმანიანმა¹, ბიძინა ჩოლოყაშვილმა“.

სწორედ ამ დღეს ნ. ბარათაშვილის ღია სამარის წინ პირველად მოუხდა ქართველ საზოგადოებაში გამოსვლა სომეხთა მომავალ დიდ პოეტს, 24 წლის ჰოვ. თუმანიანს. რომელმაც დამწუხარებულ ქართველ ხალხს მიმართა 16 სტრიქონიანი დიდად მგრძნობიარე სანუგეშო ლექსით, რომლის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი, შესრულებული არტემ ახნაზაროვის მიერ, „ივერიის“ იმავე №-ში დაიბეჭდა, ხოლო წყობილსიტყვაობითი მისი თარგმანები 1939 და 1945 წ. მოგვცა პოეტმა დ. გაჩეჩილაძემ².

აი ეს ლექსი დ. გაჩეჩილაძის 1945 წ. თარგმანში:

ნ. ბარათაშვილის საფლავთან

თავს რად დაგადგა, საქართველოვ, ღრუბლები თალხად,
 გმირს რად ემჩნევა ესოდენი მოწყენილობა?
 მგონის დაფერფლილ ძვლებს მიწიდან რომ იღებ ახლად,
 მოუშუშარი კვლავ გაიხსნა შენი კრილობა:
 რადგანაც ზედავ, რომ პოეტის სამარე ბნელი
 ობოლ სულისთვის აქაც ღრმა და უღმობელი.

¹ დაყოფა ჩვენია, ლ. მ.-ბ.
² იხ. „ახალგაზრდა კომუნისტი“ 1939 წ., № 79, „მნათობი“ 1943 წ., № 10.

თუმცა შენს დიდ მგოსანს ხელმეორედ მიწას აბარებ,
 მისი წმფოთვარე გრძნობებისთვის, რაც გზნებით უთქვამს,
 არც სიკვდილია ქვეყანაზე და აოც სამარე
 ო. არაოდეს არ შესწყვეტენ ისინი სკნთქვას.
 მისი გრძნობების დიდი ცვიხლი დაგვებმარება
 ფერფლად აქციო ყველა ტანჯვა და მწუხარება.
 და საფლავიდან საფლავში რომ გადაგაყენეს,
 ხალხის მგოსანო, ხალხის კენესა რომ გა იცადე,
 შენს გულს ვყოფა, რა დარდებმაც იგი დასერეს.
 აწ გან სვენე წყნარად, მშვიდად, უკუნისამდე.

ამ სიტყვებით ჰოვ. თუმანიანიმა თითქოს იწინასწარმეტყველა ქართველი ერის, ისევე როგორც თვითმპყრობელურ რუსეთში შემავალ ყველა ხალხის ბედნიერი და ბრწყინვალე მომავალი, ე. ი. ჩვენი აწყო, როდესაც ქართველმ ერმა, სხვა ერებთან ერთად, პოეტის სიტყვებს თუ ვიხმართ, „თერფლად აქ ცია ყველა ტანჯვა და მწუხარება“.

ამავე დროს ჰოვ. თუმანიანიმა თარგმნა ნ. ბარათაშვილის ლექსი „ფიქრნ შტ.ჟრის პირას“, თუმცა ეს თარგმანი გაცილებით გვიან გამოქვეყნდა.

მაგრამ „მერანი“-ს 1893 წ. თარგმანი, როგორც ეტყობა, ზეგავლენ მოახდინა არა მარტო ჰოვ. თუმანიანზე, არამედ აგრეთვე სომხური პოეზიის სხვა წარმომადგენელზედაც და, პირველ რიგში, ავეტიქ ისაჰაკიანზე.

ერთ-ერთ თავის მოგონებაში, რომელიც დაწერილია პოემა „აბუ-ლალა მაჰარის“-ს ქართული თარგმანის გამოცემის გამო და ერეენიდან თბილისში გადმოგზავნილია 1929 წ. თარიღით, ავ. ისაჰაკიანი, სხვათა შორის, აღიარებს შემდეგს:

„მე ბედნიერად ვგრძნობ ჩემ თავს, რომ ჩემი პოემა „აბუ-ლალა-მაჰარი“-ს ვიხილავ უდიდესი შოთა რუსთაველის უკვდავ ენაზე.

„მოხარული ვარ, ძალმიძს განვაცხადო, რომ ჩემი უფროსი ძმა ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო ამ პოემის შთაგონება.

„მისმა უმშვენიერესმა „მერანმა“ მე თავდაღვიწყებით გამოიტაცა.

„აბუ-ლალა-მაჰარის ქარავანი ბარათაშვილის მერანის კვალს მისდევს...

მეორე მოგონებაში „ქართველი მგოსნის სიმღერა“, რომელიც დაწერილია 1937 წ. 1, ავ. ისაჰაკიანი უზიარებს მკითხველს იმ შთაბეჭდილებებს, რომელიც მას მიუღია 1926 წ. დასაჯლეთ ევროპიდან ერევანში დაბრუნებისა ბათომიდან თბილისისკენ მიმავალ მატარებელში მოხეტიალე ქართველი მგოსნისაგან ერთი სიმღერის მოსმენით, როდესაც მას (ისაჰაკიანს) ონებლიე მოგონებია „საქართველოს შესახებ წაკითხული წიგნები“ და „ქართული ლიტერატურიდან წაკითხული თხზულებები“, სახელდობრ „ყაზბეგის მთების მსუნთ

¹ მდრ. ქართული თარგმანი ივ. შილაკაძისა: „ლიტერატურა და ზელოვნება 1945 წ., № 25.

ქაუი მოთხრობები, ბარათაშვილის თავაწყვეტილი მერანი¹, ვაჟა-ფშაველას არჩვიანებური ყვილი².

სომხურ პოეზიაზე ნ. ბარათაშვილის მიერ მოხდენილი ზეგავლენით აიხსნება „მერანი“-სა (1842) და „აბუ-ლალა-მაჰარი“-ს (1909) კავშირი.

შეხეულვება, თითქოს ნ. ბარათაშვილის „მერანი“-სა და ავ. ისაჰაკიანის „აბუ-ლალა-მაჰარი“-ს აკავშირებს და ახასიათებს მართოდენ პესიმისტური განცობილება, რასაკვირველია, შენცდარია, რამდენადაც ბარათაშვილის „მერანი“ და ისაჰაკიანის „აბუ-ლალა-მაჰარის ქარავანი“ დახუთულსა და შებოროტი ქვეყანას შორდებთან საბოლოო ანგარიშით იმისათვის, რათა, დიდ დაბრკოლებათა გადალახვით, გზა გაიკაფონ ცხოვრებისა, თავისუფლებისა, სინათლისა, მხისა და ბედნიეებისაკენ. ამაშია ამ ორი უკვდავი თხზულების ჯანსაღი ოპტიმისტური მარცვალი.

აი ორიოდე საგალითიც „მერანი“-სა და „აბუ-ლალა-მაჰარი“-ს იდეური სიახლოვის საილუსტრაციოდ.—

ნ. ბარათაშვილით:

1. გასწ, მერანი, შენს კენებას არ აქვს სამძღვარი, და ნიას მისეც ფიჭვი ჩემი, შავად მღვღვარი
 2. გავით ქარი, გაბე წვალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი, ვაწე, გავუბღღ და შემომოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი
 3. კესს გულსა, ტრფობის ნაშთი, მიეცე ზღვის ღელვას.
 4. გასწი, გავორადი, მემო მერანი, გარდამატარე ბედის სამძღვარი.
- და სხვა.

ასევე ლექსში „შენოლაქება მთაწმიდაზედ“ (1836):

გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს.

ანდა ლექსში „არ უკიენო სატრფოს“ (1841):

მინდა მსე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეო გარსა მოვავლო,
სადანოს იმისათვის მთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო;
მინდა რაღაც ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,
რომ მესა აღმასვლას ილოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი.

ავ. ისაჰაკიანის „აბუ-ლალა-მაჰარი“-თ:

1. მიფოინავს მზისკენ აბუ-ლალა-მაჰარი და დილა ღამეს შეცვლის სისხამით.
2. და ასე მზისკენ მიჰქრის მაჰარი, მზით გაფრენილი და მზით დამთვრალი. და სხვა.

გარდა ოპტიმიზმისა ნ. ბარათაშვილის „მერანი“-სა და ავ. ისაჰაკიანის „აბუ-ლალა-მაჰარი“-ს ახასიათებს კოსმიურობის განცდა.

არანაკლებ საინტერესოა ისიც, რომ ლექსთაწყოების ხერხების გამოყენებითაც „აბუ-ლალა-მაჰარი“ დიდ სიახლოვეს იჩენს „მერანი“-თან, რამდენადაც

¹ დაყოფა ჩვენია, ლ. მ.-ბ.

² აქ და შემდეგ აქვე გან დაყოფა ჩვენია, ლ. მ.-ბ.

ერთიცა და მეორეც დაწერილია ძირითადში არაჩვეულებრივი 20-მარცვლოვანი საზომით („მერანი“ აგრეთვე ალაგ-ალაგ 14-ით) და წყვილ-წყვილადი რით-მით (1—2, 3—4, 5—6 და ასე შემდ.).

მაგრამ მეტრიკის ასეთი თავისებურება ერთს შემთხვევაში („მერან“-ში) გამოყენებულია დინამიკურობის, სი სწრაფის გამოსახატავად, რაიც ბუნებრივია მერანის (რაშის, ჰუნეს, ცხენის) ფრენა-ქენებისათვის წყალთა, კლდეთა და ღრეთა გადასალახავად: ხოლო მეორე შემთხვევაში („აბუ-ლილანაპარი“-ში) იგი, ლექსის სიტლანქე, უდაბნოში მიმავალ აქლემთა მოჩანჩალეუქარავნის ნაბიჯებს გვისურათებს:

1. მიდის აბჯლის წინ ქარავანი, როგორც ცხელ სილას მარღვევს წყარო.
მუღღრო ღამეში ვღერის ეღვანი, თითქო არ ჰქონდის მას გზა საჩქარო.
ღამე ქარავანს გზა ეხლართება, და აქლემებიც აგვანან გველებს,
ნელი ვღარღნი ოთაქო ღარებით ედება ძილში გაღურსულ ველებს.
2. და, როგორც გველო, მიიკლავანება 'ალმების შორის წინ ქარავანი.
ქარს მიაქვს ქვიშა და გზას ამტერეებს და სხვა ამ გზაზე არ ჩანს არავინ.

ჰოვ. თუმანიანსა და ავ. ისაჰაიანს გარდა, ნ. ბარათაშვილის აშკარა ზეგავლენა განუცდია აგრეთვე ბათუმელ სომეხ პოეტ გრ. გრიგორიანს: მისი ლექსი „ფიქრები ზღვის პირას“, რომელიც, სხვათა შორის, გადმოქართულებულიცაა ი. გრიშაშვილის მიერ¹, ექვი არაა, ნ. ბარათაშვილის ლექსის „ფიქრნი მტკვრის პირას“ შთაგონებით არის დაწერილი.

რაც შეეხება დასავლელ სომეხ პოეტ დანიელ ვარუშანს (1884—1915), რომელსაც მოეპოვება პოემა (257 სტრიქონად) სათაურით „პეგას“, იგი, რასაკვირველია, დასავლეთ-ევროპული ლიტერატურის ზეგავლენას განიცდის.

III

ნ. ბარათაშვილის თხზულებათა სომხურ თარგმანებს თითქოს ნახევარ საუკუნეზე მეტი ისტორია აქვს, რამდენადაც ამ საქმის საწყისად ივარაუდება „მერანი“-ს 1893 წ. თარგმანი. ეს თითქოს პირველი და, ამავე დროს, უკანასკნელი ნიშნულია ბარათაშვილის თხზულებათა სომხურად თარგმნისა დიდ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენში.

არსებითად კი F. ბარათაშვილით დაინტერესება და მისი თხზულებების სომხურად გადათარგმნა საბჭოთა ხელისუფლების ხანაში იწყება 1923 წლიდან, როდესაც ამ საქმეს ხელს ჰკიდებენ საქართველოსა და სომხეთში მომუშავე საბჭოთა მწერლები, რომლებიც თავიანთ თარგმანებს, ამა-თუ-იმ შემთხვევის გამო, ადგილობრივ სომხურ ჟურნალ-გაზეთებში ათავსებენ: თბლისელები „მარტაკოჩ“, ხორუღაინ ვრასტან“, „სოვეტაკან ვრასტან“-სა და „კარმირწილერ“-ში, ერევნელები „ნორკ“-სა, „გრაკან თერთ“-სა და „სოვეტაკან ჰაიასტან“-ში. გარდა ამისა, პოეტ-ფილოლოგი გ. ასატური თავის „ქართული ლიტერატურის

¹ იხ. „დროშა“ 1932 წ., № 5.

ნიმუშები“ (ყრევეანი 1931) ათავსებს ნ. ბარათაშვილის 4 ლექსის („მერანი“, „ჩემი მეგობართ“, „ჩემს ვარსკვლავს“ და „სულო ბოროტო“) თარგმანს. ხოლო ეს მთარგმნელები, გარდა აწ განსვენებულთ ჰოვ. კოსტანიანცისა, ჰოვ. თუმანიანისა და გ. ასატურისა, არაან: გარეგინ ნელოიანი (აგრეთვე განსვენებული), სურენ აფიიანი, ვარდან სიმონიანი, ჰოვ. კარაპეტიაი, იგივე კარაიანი, სოლომონ ტარონცი და ჰოვ. შირაზი¹. ს. აფიიანის თარგმანში და ჩვენი რედაქციით გამოიცა ნ. ბარათაშვილის „ჩრეულ ნაწერთა“ კრებული (1946), რომელიც შეიცავს 19 ლექსისა და 1 პოემის თარგმანს და რომელსაც ქვემოთ ვიხსენიებთ მოკლედ: კრებული.

ანრიგად, ამჟამად სომხურად თარგმნილია ნ. ბარათაშვილის შემდეგი თხზულებები:

1. შემოღანება მთაწმიდაზედ [1836].
თარგმ. ს. აფიიანისა (კრებული).
2. ხმა იდუმალი (1836).
იგივე (კრებული).
3. ფიქრნი მტკერის პირას (1837).
ა) თარგმანი ჰოვ. თუმანიანისა (შეცდომით წოდებული „ფიქრნი მტკერის შესახებ“).
„გრაკან თერთ“ 1937 წ. № 27; „სოვეტაკან ვრასტან“, 1945 წ. № 81.
ბ) თარგმანი ს. აფიიანისა (კრებული).
4. ჩონგურსი (1837).
ა) თარგმ. ჰოვ. შირაზისა („გრაკან თერთ“, 1945 წ. № 29).
ბ) თარგმ. ს. აფიიანისა (კრებული).
5. ჩემს ვარსკვლავს (1837).
ა) თარგმანი გ. ასატურისა („ქართ. ლიტ. ნიმუშები“, 1931, გვ. 54—55).
ბ) თარგმანი ჰოვ. კარაიანისა („სოვეტაკან ვრასტან“, 1945 წ. № 81).
გ) თარგმანი ს. აფიიანისა (კრებული).
6. თავადის ქ...ძის ასულს; ევ...ნას (1839).
თარგმ. ს. აფიიანისა (კრებული).
7. საყურე (1839).
თარგმ. ს. აფიიანისა (კრებული).
8. ჩჩილი (1839).
თარგმ. ს. აფიიანისა (კრებული).

¹ არა სრული ბიბლიოგრაფია:

ა) ლ. მელიქსეთ-ბეგის, ნიკ. ბარათაშვილი და სომხური პოეზია (სომხურად): „ხო-რუღაიან ვრასტან“ 1939 წ. № 296:

ბ) მისივე—ნ. ბარათაშვილი სომხურ პოეზიაში: „ლიტერატურული საქართველო“ 1940 წ., № 8;

გ) ს. აფიიანი, ნ. ბარათაშვილი და სომხური ლიტერატურა: „ლიტერატურა და ხელოვნება“ 1945 წ. № 15.

დ) ი. ვნიკოლოფოვი, ნიკოლოზ ბარათაშვილი სომხურ ლიტერატურაში (სომხურად): „სოვეტაკან ვრასტან“ 1945 წ., № 80.

9. ჩჩვილი (1839).
 - ა) თარგმანი ჰოვ. კარაპეტიანისა (კარაიანისა) („ქარმირ წილერ, 1838 წ. № 11).
 - ბ) თარგმანი ს. ავჩიანისა (კრებული).
10. სული ობოლი (1839).
 - თარგმ. ს. ავჩიანისა (კრებული).
11. სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი (1840).
 - იგივე (კრებული).
12. ჩემი ლოცვა (1840).
 - იგივე (კრებული).
13. ჩემთ მეგობართ (1841).
 - ა) თარგმანი გ. ასატურისა („ქართ. ლიტ. ნიმუშები“, 1931, გვ. 54).
 - ბ) თარგმანი ს. ავჩიანისა („სოვეტკაქან ვრასტან“, 1938 წ. № 71; კრებული).
14. ვჰპოვე ტაძარი (1841).
 - თარგმ. ს. ავჩიანისა (კრებული).
15. შენნი დაღალნი (1842).
 - თარგმ. ს. ავჩიანისა („სოვეტკაქან ვრასტან“, 1945 წ. № 81; კრებული).
16. მერანი (1842).
 - ა) თარგმანი ჰოვ. კოსტანიანცისა („ტარაზ“, 1893 წ. № 15).
 - ბ) თარგმანი გ. მელიქიანისა („მარტაკოზ, 1923 წ. № 76; „სოვეტკაქან ვრასტან“, 1939 წ. № 186).
 - გ) თარგმანი გ. ასატურისა („ნორქ“, 1927 წ. № 1, = „ქართ. ლიტ. ნიმუშები“, 1931, გვ. 52—53).
 - დ) თარგმანი ვ. სიმონიანისა („სოვეტკაქან ვრასტან“, 1938 წ. № 71).
 - ე) თარგმანი ს. ავჩიანისა („სოვეტკაქან ვრასტან“, 1945 წ. № 75 კრებული).
 - ვ) თარგმანი ს. ტარონცისა („სოვეტკაქან ჰაიასტან“, 1945 წ. № 223).

აქ, სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ მთარგმნელთა უმრავლესობა სა-
თაურად სტოვეებს „მერანს“ (სომხური ასოებით), ხოლო ორ შემთხვევაში
სთარგმნიან სხვანაირად: გ. მელიქიანი „პეგას“, გ. ასატური „პრელენ ძი“
(ე. ი. რაშ).
17. კნიაზ ბარათაევის აზარტეშაზედ (1842).
 - თარგმ. ს. ავჩიანისა (კრებული).
18. სულ ბოროტო (1843).
 - ა) თარგმანი გ. ასატურისა („ქართ. ლიტ. ნიმუშები“, 1931, გვ. 55—56).
 - ბ) თარგმანი ს. ავჩიანისა (კრებული).
19. მადლი შენს გამჩენს (1845).
 - თარგმ. ს. ავჩიანისა (კრებული).
20. ბედი ქართლისა (1839).
 - იგივე (კრებული).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, არავის შეეპარება ეკვი იმაში, რომ ნ. ბარათაშვილი სომეხი მკითხველისათვის ისევე ჰქირფასი და საყვარელია, როგორც ქართული ლიტერატურის სხვა გამოჩენილი ფიგურები—დიდი შოთა, ილია, აკაკი, ყაზბეგი და ვაჟა ფშაველა.

Л. М. МЕЛИКСЕТ-БЕК

Н. БАРАТАШВИЛИ И АРМЯНСКАЯ ЛИТЕРАТУРА

(Резюме)

В статье „Н. Бараташвили и армянская литература“ объединен цикл вопросов касательно великого грузинского поэта-романтика: 1. Встреча творчества Н. Бараташвили в тогдашней армянской литературе; 2. Непосредственное влияние Н. Бараташвили на армянских писателей XIX—XX вв; и 3. Сочинения Н. Бараташвили в армянских переводах.

1. Касаясь эпохи, когда жил и творил Н. Бараташвили (1817—1845), и тех условий, которые наложили свой отпечаток на его творчество, автор отмечает, как та же эпоха и те же условия predetermined характер творчества основоположника восточной ново-армянской литературы Хачатура Абовяна (1805—1848). В результате этого мы имеем поразительное сходство в тематике обоих писателей с приблизительным совпадением дат написания отдельных произведений обоих, каковы: с одной стороны—„Сумерки на Мтацминда“ (1836), „Судьба Грузии“ (1839), „Могилы царя Ираклия“ (1842), „Азарпеша“ (тогда же) и пр., и с другой—„По поводу Мтацминдского праздника“ (1840), „Раны Армении. Плач патриота“ (1841), „Последнее прощание победоносного царя Ираклия“ (тогда же), „Азарпеша“ (тогда же) и пр. Патриотические мотивы отдельных стихотворений Н. Бараташвили также находят аналогии в народных песнях и отдельных высказываниях, вкрапленных в романе Х. Абовяна „Раны Армении“. Наконец, „Думы на берегу Куры“ (1837) Н. Бараташвили перекликаются с стихотворением „Слезы Аракса“ (1856) армянского поэта-романтика Рафаэля Паткапяна (Гамар-Катйба).

2. Поэзия Н. Бараташвили в некоторой степени оказала влияние на творчество двух величайших армянских поэтов нашего времени—Ов. Туманяна и Ав. Исаакяна. Из них первый не только перевел на армянский язык стихотворение Н. Бараташвили „Думы на берегу Куры“, но и посвятил ему собственное стихотворение „На могиле Н. Бараташвили“ (1893). Второй же, Ав. Исаакян, согласно собственному признанию, написал поэму „Абу-Лала-Маари“ (1909) под непосредственным воздействием знаменитого „Мерани“ (1842), даже с заимствованием метрики—20-сложного стиха, редко применяемого в армянской поэзии; хотя, конечно, оба эти произведения по динамике и темпам существенно отличаются одно от

другого, поскольку стремительности и скакавию сказочного коня Н. Бараташвили (Мерани) противоплагается медлительность каравана верблюдов у Ав. Исаакяна (Абу-Лала-Маари).

3. Наконец, отмечается история переводов произведений Н. Бараташвили на армянский язык, начиная с 1893 г. и вплоть до юбилейных дней 1945 г. На данный момент налицо переводы на армянский язык 20 произведений Н. Бараташвили, из них некоторые по два и более раз, причем „Мерани“ имеется в 6 переводах. Переводчики, с одной стороны, ныне покойные Ов. Костанян, Ов. Туманян, Георг Асатур, Гар. Мелоян, а с другой—современные поэты Вардан Симонян, Ов. Каранян (Карапетян), С. Таронци, Ов. Шираз и Сурен Авчян. Последний опубликовал также и „Избранное“ из Н. Бараташвили на армянском языке (под нашей редакцией), куда вошли переводы 20-ти произведений грузинского поэта, в том числе поэмы „Судьба Грузии“.
